№ 248 ნოემბერი 21, ოთხშაბათი 1890 ნოემბერი 21, ოთხშაბათი № 248


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ჯუგიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 23 ნოემბერს.

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წევრთა

## წლიური კრება,

დანიშნული 14 ნოემბრისთვის, ვერ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი წევრთა არ შეიკრიბა. ამის გამო, საზოგადოების წესდების მე-15 § ძალით, ხელმეორედ კრება დანიშნულია 21 ნოემბრისთვის, დილის 10 საათზე, სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (5—5)


## „დასავლეთი"

ახალი რესტორანი, კერაზე, მზურნუთოვის სახლებში, ფოსტის სადგომის გვერდით.

რესტორანის სადგომი ახლად შეკეთებულია და თბილი. საჭმელები ევროპიული და ჩვენებური; საუკეთესო ბუფეტია. სასმელები ევროპიული და ჩვენებური.

სადილები დღიურად და თვეიურად შეიძლება თვითონ რესტორანში მიიღონ ან ბინაზე, შინ სახლში, წაიღონ. რესტორანში ცალკე ოთახებიცაა, მშვენიერად მორთული და მოწყობილი.

ფასები ყველაფრისა იაფია.

თავმდები ვართ, რომ ხორაგეული სუფთაა და ბუფეტი უნაკლულო.

(40—9)

ნ. ჩიკვაიძე და
ს. მელიძგაური


ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ დანიშნულია ორი პრემია საუკეთესო ისტორიულ მოთხრობისათვის, რომელიც სივრცით უნდა იყოს: პირველი არა ნაკლებ 10 ბეჭდურ თაბახისა და მეორე—5 ბეჭდურის თაბახისა. პირველ პრემიად დანიშნულია 200 მან., ხოლო მეორედ 100 მან. პრემიით დაჯილდოებულს მოთხრობას ამხანაგობა გამოსცემს არა უმეტეს 1200 ეკზემპლიარისა, რომლის გაყიდვას შემდეგ ავტორს ეძლევა ყოველივე უფლება საკუთრებისა. მოთხრობის დასაფასებლად წაკითხვის დროს მოწვეულნი იქმნებიან ჩვენი საუკეთესო მწერალნი. მოთხრობანი წარმოდგენილნი უნდა იქმნან ნოემბრი 1-მდე 1891 წ. მოთხრობასთან ერთად უნდა გამოიგზავნოს გვარი და ადრესი ავტორისა დაბეჭდილს კონვერტში. ადრესი ქალაქს გარედ მყოფთათვის: Правленію Грузинскаго Издательскаго Товарищества. Тифлисъ. (10—6)

## ახალი ამბავი

*** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 21 ნოემბერს, დილის 10 საათზე დანიშნულია კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წევრთა სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

*** როგორც შევიტყვეთ, კრება ქალაქის საბჭოს—მესამე რიგის ხმოსანთა ამოსარჩევად დანიშნულია კვირას, 25 ამ თვისას. კრება ამ დღეს, „საბრანიის" დარბაზში-კი არა, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის თეატრის შენობაში მოხდება.

*** ქალაქის არჩევნებზეა ამ ჟამად დიდი ლაპარაკი და კარგი იქმნება მოვიხსენიოთ ქალაქის მიერ დამართული სკოლებიც. საკვირველი ის არის, რომ ამ სკოლების შესახებ ცნობებს ტფილისის გაზეთობა თითქოს ყურადღებას არ აღევნებს, არავინ იცის, სად როგორ არის დაყენებული სწავლა, როგორ სწარმოებს საქმე და სხვა. სხვა სასწავლებლებისა დარწმუნებით არა ვიცით-რა და თუ იქაც ისეა საქმე მომართულ-მოწყობილი, როგორც, მაგალითებრ, ჩუღურეთის საქალაქო სასწავლებელში, სწორედ ვერაფრადა ყოფილა საქმე მომარჯვებული. ამ სასწავლებელში, რომელიც პანახევიჩის ქუჩაზედ იმყოფება, დიდ-ძალი მოწაფეა, ასე, ორთა შუა რიცხვით რომ ვსთქვათ, სამასამდე. წარმოიდგინეთ, ამდენის შეგირდების გაძღოლა და სწავლება ერთად-ერთს ადამიანსა აქვს მიჩემებული. ამას წინად საქალაქო გამგეობას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ამ სასწავლებელთან პარალელური კლასები დაეარსოთ და სხვა მასწავლებელიც მიაშველოთ ქ-ნ ვასილიევისას, ეხლანდელს მასწავლებელს, ფულიც-კი იქმნა ამ საგნისათვის გადადებული, მაგრამ შემდეგ რალამ შეაყენა საქმე, არავინ იცის. საბრალო მასწავლებელი ქალი ეხლა იძულებულია ერთი-ორად სწიოს ჯაფა, დღეში შვიდი გაკვეთილი აძლიოს, თუმცა თვით პედაგოგია ყოველს მასწავლებელს სამს გაკვეთილის ბევრი-ბევრი—ოთხის გაკვეთილის ძლევას ავალებს. რას უნდა მიეწეროს ამ შემთხვევაში უყურადღებობა ქალაქის გამგეთა? თვით ქ-ნ ვასილიევის შრომა ერთი-ორადაც რომ ჯილდოვდებოდეს, მაშინაც საქმეს ნაკლი აცილებული არ ექნება, რადგან რაც უნდა ძალიან სცდილობდეს ეხლანდელი მასწავლებელი და რაც უნდა კარგი მასწავლებელი იყოს, თავისდა უნებურად ისე ვერ შეიძლებს სამასის ყმაწვილის სწავლებას, როგორც სასურველია და როგორც ჯეროვანი, რომ ბავშვები არ დაიჩაგრნენ.

*** იმიერ კასპიის სამხედრო რკინის გზის გამყვანი გენერალ ლეიტენანტი ანენკოვი ორშაბათს, ამ თთვის 19, ამიერ კავკასიის რკინის გზით პეტერბურგში გაემგზავრა.

*** კვირას, ამ თთვის 18, მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ეგზარხოსმა პალლადიმ და მათ ყოვლად უსამღვდელოესობათ ეპისკოპოზმა გორისამ ალექსანდრემ და ალავერდისამ ბესარიონმა და დანარჩენმა სამღვდელოებამ სიონის ტაძარში წირვას შემდეგ პარაკლისი გადაიხადეს მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის მშვიდობით საქართველოში დაბრუნებისა გამო. ეგზარხოსმა პალლადიმ თავისს სიტყვაში სხვათა შორის სთქვა, რომ თუმცა მის იმპერატორებითის უდიდებულესობის ბრძანებით უწმინდესს სინოდში ვიყავ ამ ოთხის თთვის განმავლობაში, მაგრამ გულითა და სულით საქართველოს არ მოვშორებულვარ და მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით დამიხვდა ჩემი სამწყსოვო.

*** სომეხთა ცენზორი ბ-ნი მელიქ მელრაბოვი, როგორც ჩვენ შევიტყვეთ, გამორიცხულ იქმნა კავკასიის ცენზორის კომიტეტიდგან და ჩაირიცხა შინაგან საქმეთა სამინისტროში.

*** 17 ნოემბერს ღამე პოლიციამ უცბად დაუარა ქალაქს და ალმოაჩინა 205 მამა კაცი უბილეთო და 1 დედაკაცი. ყველა ამ უბილეთოს უპაირობენ თავ-თავიანთ სოფლებში დაგზავნას. შეპყრობილთა შორის არიან ისეთნიც, რომელთაც ეძებდა სამართალი სხვა-და სხვა დანაშაულობის გამოვო.

*** სოფ. ტობანიერი (ქუთაისის მაზრა): მალე შეგვეტყო, რომ წრევანდელმა მოსავალმა ძალიან გვამტყუნა. ჩვენში უფრო სიმინდი მოდის და წელს სწორედ ნახევარი რომ მოგვსლოდა იმისი, რაც წინად მოგვდიოდა...

## ფელეტონი

### ასის წლის წინად

II*)

### ტიკინი.

ქ-ნს ვენსანს დონ-სტრიტეს ქუჩაზე ექირა სახლი. ეხლა ეს ქუჩა ღარიბ, ხელ-მოკლეთა და სხვის ხელში შემაცქერალთა უბანია. მაშინ-კი სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. სახლის დაბლა სართულში ქ-ნს ვენსანს დუქანი ჰქონდა, სადაც ღამე ვენსანის მსახური პელი წვებოდა ხოლმე. დუქნის უკანა ოთახი სასტუმროდ იყო მომართული. აქ დღეში სამჯერ მარჯვენა კედელთან მდგომს სტოლზედ სუფრა იშლებოდა საუზმისა, სადილისა და ვახშმისათვის. სადარბაზო ოთახის გვერდზე ვენსანის საწოლი ოთახი იყო. ეს ოთახი სხვა-და-სხვა სურათითა და ათას გვარის ჩითეულისა და ფარჩეულის ნიმუშით იყო შემკული... საწოლ ოთახის მარჯვენივ ქ-ნის ვენსანის და ძმის ქალის ოთახი იყო. ეს ოთახი ქ-ნმა ვენსანისამ მადელინას მისცა. მეორე სართულში სცხოვრობდნენ ბ-ნი ბოში, მღვდელი და ვალერი. სახურავზე სახლს პატარა ოთახი ჰქონდა დატანებული და ამ ოთახს სანათური ზემოდამ ჰქონდა. ამის გამო ზაფხულში საშინლად ცხელოდა ხოლმე და ზამთარში-კი—ციოდა. ოთახში ძველის-ძველი ტახტი იდგა და ერთი პატარა სამ-ფეხა სკამი. ეს ორი ნივთი შეადგენდა ოთახის მორთულობას. ამ ოთახს ამ დღიდგან დომინიკას ოთახი დაერქვა... მეორე დღეს დილიდამვე ვენსანის დუქანს მუშტარი მოაწყდა. პეგი ველარ ასწრობდა მუშტრის გაძღოლას.

— მოგივიდათ ტიკინი? შემოსვლისავე უმალ კითხულობდნენ მუშტრები.

— დიახ.. ტიკინი ოთახშია... მხოლოდ ის... ის... დიახ, მოვიდა...

აირია მონასტერიო, რომ იტყვიან, სწორედ ისე დაემართათ ლონდონის ქალებსა და გულის ცახცახით ტიკინის ნახვას დაუწყეს ლოდინი.

მკითხველი თუ მცირედ მაინც იცნობს XVIII საუკუნეში პარიჟის ცხოვრებას, ეცოდინება, რომ ყოველ კვირა საფრანგეთის რევოლიუციამდე სენტ-ონორეს ქუჩიდგან ტიკინი გაემგზავრებოდა ხოლმე ვენასა, პეტერბურგსა და ლონდონში. ტიკინი სულ უკანასკნელს მოდაზე იყო ხოლმე მორთულ მოკაზმული და ზემოხსენებულ ქალაქების ქალები ამ მოგზაურთ ტიკინის მორთულობის გვარად იცვამიხურავდნენ და იპრანჭებოდნენ ხოლმე.

ამბობენ, რომ ტიკინი დიდის სულთანის ჰარამხანაშიაც-კი ამოჰყოფდა ხოლმე თავსა და თავისის სიმშვენიერით გაოცებაში მოჰყავანდა ეს ალმოსავლეთის მბრძანებელიო. მართლაც-და ორმოც-და-ათი მუშა ხელის ნამუშავარს ტიკინს პერანგიდგან დაწყებული მარაომდე საუცხოვოდ ჰქონდა შეხამულ-შეკოხტავებული. ბასტილიის აღების დღე ერთად-ერთი დღე იყო, რომ ტიკინი დანიშნულს ალაგას არ გაჩნდა. ამას შემდეგ დაიწყო ტიკინმა უგზო-უკვლოდ და უდროოდ ხეტიალი, იმიტომ-კი არა, რომ პარიჟმა ხელოვნებაში პირველობა და მეთაურობა ველარ გასწია, არამედ იმიტომ მოხდა ასეთი ამბავი, რომ ამ დროს პარიჟს სულ სხვა ტკივილი აწუხებდა და სხვა დარდი უკლავდა გულს. გახურებული რევოლიუცია ჰმთავრობდა პარიჟში და რა დროს ტიკინების მზადება იყო.

შორიდამ ადამიანს ისე ეგონებოდა, თითქოს საფრანგეთში სიცოცხლე შედგაო, ხელოვნება და მრეწველობა დაეცა და ცხოვრება ძალიან გაუჭირდა დაბალს მუშა ხალხსაო. ასე ეგონებოდა, მართალია, მაგრამ ნამდვილად-კი ასე არ იყო. ამ არეულდარეულობაში ყველა თავისს საქმეს ადგა და დღიურ საზრდოს მოსაპოვებელს გროშებს იღებდა კიდეც. მართალია, მოსვენებული ცხოვრება ალარავისა ჰქონდა, ბევრი უადგილო-ადგილას ქალაქს გარედ მინდორ-ბალებში, სადაც-კი მოასწრობდა, სჭამდა პურსა და ისიც არა იშვიათი იყო, რომ ფუფუნება-მოსვენებას ჩვეულნი ერთმანეთს გოდებითა და ჩივილით შესტიროდნენ მოუსვენრობას, მაგრამ მაინც-კი ისე არა უშლიდა-რა ტიკინის მოგზაურობას, როგორც ომი... ომიანობას ტიკინი მეტად დიდს გაჭირვებაში ვარდებოდა. ვიდრე პარიჟს გაატანდა, ბევრი განსაცდელი უნდა გამოევლო. ჯერ იყო და რესპუბლიკელებისა ეშინოდა, ეშინოდა იმიტომ, რომ არისტოკრატს ეძახდნენ და სძულდათ. ამათ თუ გადურჩებოდა, მაშინ დარაჯი მეომარნი შეუკრავდ-

*) იხ. „ივერია" № 248.

ოდა, კარგი იქნებოდა. წინად იმდენი მოგვდიოდა, რომ ბევრს ვყიდდით კიდეცა და ეხლა იოლადაც ველარ გამოვალთ, ვგონებ. ღვინის მოსავალიც მდარე იყო წელს. გზები-კი გვიკეთდება, ღვთის მადლით, და ესეც კარგია. სკოლა რიგიანი გვაქვს, მხოლოდ არ იქნებოდა ურიგო, რომ ერთ კლასიანის მაგიერ ორ-კლასიანი დაარსებულიყო. მართალია, სამრევლო სკოლებიც იმართება ჩვენს სამამასახლისოში, მაგრამ ეს სკოლები იმდენს სარგებლობას ვერ მოუტანს ხალხს, რამდენსაც კარგად წარმართული საერო ორ-კლასიანი სკოლა.

⁂ გაზ. „არძაგანკი“ ამბობს, რომ ტენორი შაჰლამიანი, რომელიც ეხლა იტალიაშია, მიწვეულ იქმნა პარიჟში ერთის საოპერო დასის მიერ, მაგრამ რუსეთის ელჩმა რომისამ ნება არ მისცა შაჰლამიანს იქ წასვლისა, თქვენ რუსეთის საიმპერატორო თეატრების დირექციის სტიპენდიატი ხართ და ამიტომ ჯერ ნება არა გაქვთ უცხო ქვეყნების სცენებზე იმღეროთო.

⁂ „Нов. Обоз.“-ე ამბობს, რომ ძმანი ვართაზირიანცები აარსებენ ორთაჭალისკენ, სადაც ადელხანოვის ტყავის ქარხანაა, სხვა ახალს ტყავის ქარხანასაო. ვართაზარიანცებს ადგილი კიდეც უყიდნიათ და მალე შეუდგებიან საქმეს. ერთს ძმას ასეთის ქარხნის ვითარება და წარმოება შეუსწავლია რუსეთში, მოსკოვს ახლოს. ეს ვართაზიანცი იქ ყოფილა სამსახურში ერთ-ერთს ტყავის ქარხანაში და 6000 მან. ჯამაგირი ჰქონიაო.

⁂ 19 ნოემბერს, დილის ათის ნახევარზე ვლადიკავკავის პოლკის პოდპოლკოვნიკმა ადამ ივანეს ძემ გორსკიმ, რომელიც ნიკოლოოზის ქუჩაზე სცხოვრებს, გამოაცხადა, რომ 18 ამ თვისას, საღამოს ცხრა საათზე, მომპარეს ორი ქალის თბილი წამოსასხამი 25 მანეთად ღირებული.

⁂ ამავე დღეს პოლიციის 1 ნაწილში, ახალ ქუჩის ზემოდ პეტრე მაკაროვის მამულში, ხევში იპოვნეს გვამი რიგის მცხოვრებლის კაროლინის რეიმერისსა. გარდაცვალებულის გვამს ძალად-მოკვლისა არა ეტყობოდა-რა. გვამი სანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

## ქალაქის საბჭო

19 ნოემბერს.

მრავალმა ხმოსანმა მოიკრიბა თავი ამ კრებაზე, მაგრამ მაყურებელ საზოგადოების სიმრავლეს-კი ვერ შეედრებოდა. სასიამოვნოდ დარჩება მკითხველს, რომ მაყურებელთა შორის უმეტესობას ქართველნი შეადგენენ. აშკარაა, რომ ტფილისის ქართველობა თანდათან იღებს გემოს თვით-მმართველობის სიკეთისასა და იჩენს სასურველს ხალისს, თვალი ადევნოს და ყური უგდოს ამ ყოვლად მნიშვნელობიანს საგანს. პირველი საგანი კრებისა იყო ორიოდე სიტყვა საბჭოს მდივნისა, ბ-ნ ტიგრანიანცისა, რომელმაც წინა კრებაზე უმართებულო სიტყვა-პასუხი გაუწია ხმოსანს ნიკოლაძეს. ბ-ნმა ტიგრანიანცმა სთქვა, რომ წარსულს კრებაზე მე ძლიერ აღელვებული და უმართებულო სიტყვები ვიხმარე წინააღმდეგ ბ-ნ ნიკოლაძისაო და ეხლა ბოდიშს ვიხდი, როგორც ბ-ნ ნიკოლაძის, აგრეთვე საბჭოს წინაშეო. საბჭოცა და ბ-ნი ნიკოლაძეც დაკმაყოფილებულნი დარჩნენ მდივნის კეთილშობილურ საქციელის გამო. შემდეგ ქალაქის თავმა გამოუცხადა კრებას, რომ კარგი იქნება ქალაქის სამკურნალოს დირექტორი, დოქტორი ავთანდილოვი, გავგზავნოთ ბერლინში, რათა შეისწავლოს პროფესორ კოხთან ახალი წამლობა სიჭლექისა, რომელსაც დიდ-ძალი მსხვერპლი მიაქვს ტფილისის მცხოვრებელთაგან და მივცეთ ფულად 500 მანეთიო. კრებამ მოიწონა ეს წინადადება და გადასწყვიტა ასის თუმნის მიცემა ავთანდილოვისთვის. ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია იმ ამბავმა, რომელიც მოჰხდა მესამე ხარისხის ხმოსანთა ამორჩევის დროს. უმეტესი ნაწილი ხმოსანთა იმ აზრისა იყო, რომ ქალაქის თავმა ამომრჩევლებს მისცეს უფლება, ისე დაასწყონ ყუთები, როგორც მათი სურვილია, რადგან ამ საშუალებით ქალაქის თავი გაჰფანტავს იმ ეჭვს, რომელიც ეხლა ყველას ჭეშმარიტებად მიაჩნია და რომელიც მასში მდგომარეობს, ვითომც გამგეობას გაეცეს ჩუმი განკარგულება, რომ პირველ 24 ყუთში ჩაყარეთ თეთრში კენჭებიო და სხვებში-კი სულ შავებიო. ზოგი ხმოსანი-კი წინააღმდეგი იყო ასეთის საქციელისა, რადგან ამით ქალაქის თავის ღირსება დამცირებული შეიქმნებაო, რომ ამომრჩეველთა ფეხისხმას აჰყვეს და მათს უწესურს ღრიანცელს დაუთმოსო· სჯობია იმავე წესსა და რიგს დაადგეს, რომელსაც ადგა არჩევნები აგერ თექვსმეტი წელიწადიაო. კრება ვერც ერთს გარდაწყვეტილებას ვერ დაადგა და დაგვიანების გამო დაიშალა. ვნახოთ, კვირას, 25 ნოემბერს, როგორ წესს დაადგება ბ-ნი ქალაქის თავი. ეს-კი არის, რომ კვირისთვის ცოტა საქმე და დაჰრჩათ ამომრჩევლებს: უნდა მივიდნენ მხოლოდ, აიღონ კენჭები და ჩაჰყარონ, როგორც უნდათ. კანდიდატების სიები გათავებულია, 112 კაცი დასახლებულია, მათი ბილეთებიც გათავებულია. ესლა იმაზეა დაბრკოლება, რომ კიდევ არავინ მოახდინოს უწესოება და არ ააღელვოს საზოგადოება. გინდა კიდეც რომ დაუთმოს ბ-ნმა თავმჯდომარემ კრების სურვილსა და ანბანზე ჩაამწკრიოს ყუთები, ამითი არც მის ღირსებას დააკლდება რამ, პირიქით უფრო დიდს პატივისცემას მოიპოვებს ამომრჩევლებისასა და საქმეც მალე გათავდება. ამასთანავე, მართლაც ძლიერ ჭკუასთან ახლოა, რომ რამდენიმე კაცი იქმნას დაყენებული ყუთებთან და ყველა კანდიდატის სახელსა და გვარს ამოუკითხავდნენ ხოლმე ანბანის არმცოდნე ამომრჩევლებს. მაშინ ეჭვიც გაფანტულ იქმნება და ყველანიც დაკმაყოფილებულნი იქმნებიან. ეს აზრი საბჭოს კრებაზედაც წარმოითქვა და კარგი იქმნება განხორციელდეს კიდეც.

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად ვთხოვ რედაქციას ადგილი დაუთმოს ამ ჩემს მცირე წერილს „ივერიის“ უმახლობელეს ნომერში.

ბ-ნი ანტონ ფურცელაძე „Тиф. Лист.“-ის 259 ნომერში ამბობს: „Совѣтъ общества уполномочилъ меня возбудить преслѣдованіе уголовное и гражданское противъ членовъ правленія общества.“ ესევე აზრი „ივერიის“ 244 ნომერში ბ-ნ ა. ფ—ძეს ორგან ასე აქვს მოხსენებული... „არა ვდევნე დამნაშავენი გორის მომხმარ საზოგადოების ფულის შექმაში, თუმცა მე მქონდა ეს მინდობილი“. მეორედგან: „მომანდეს მე დევნა დამნაშავეთა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო წესით.“

მე როგორც წევრად ნამყოფს გორის მომხმარებელ საზოგადოების გამგეობისა, მსურს შევიტყო: ხსენებულის საზოგადოების საბჭოს წევრთა (Члены Совѣта) მინდობილობის წერილში მართლა ჩაუწერეს ბ-ნ ან. ფ—ძეს „დევნა“ ჩვენი სისხლის სამართლის წესით, თუ არა?

სრული იმედი მაქვს, რომ ამ ჩემს საკითხავზედ რომელიმე საბჭოს წევრთაგანი, ან გამგეობისა, ან კიდევ რომელიმე წევრი საზოგადოებისა, პასუხს მომცემს. გაგება ამ გარემოებისა იმიტომ არის ჩემთვის საჭირო, რომ მსურს ამ აწეწილ-დაწეწილს, საზოგადოებისათვის ერთობ ბნელის საგანზედ, როგორიც არის, გორის მომხმარებელ საზოგადოების საქმე, რამდენიმე სიტყვა წარმოვსთქვა ამ მოკლეს ხანში და მისი ავი და კარგი მიუდგომელად და პირუთნეველად დავანახო ყველას და როცა მეცოდინება, რომ „სისხლის სამართლის წესით“ დევნა, გამგეობის წევრთა საზოგადოდ და კერძოდ ჩემი, მინდობილი ჰქონდა ბ-ნ ფურცელაძეს, მაშინ ჩემს წერილს სხვა ხასიათი მიეცემა.

სოფრონ მგალობლიშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამ ჟამად სახელმწიფო საბჭოში შეტანილია პროექტი საქალაქო დებულებაში ცვლილებათა შესატანად. ჩვენ უკვე გვქონდა ამას წინად ერთს მეთაურს წერილში ანუსხული ყველა ის ნაკლულევანება, რომელიც ამ დებულებასა აქვს. აი ამის შესახებვე რას ამბობს ეხლა გაზ. „Новости“: ნაკლი ქალაქის დებულებისა უწინ (1880 წ.) ის იყო, რომ ქალაქის ინტერესების მზრუნველობა ვაჭრებსა ჰქონდათ მიჩემებული.

ამ ჟამად „ქალაქის საზოგადოების“ წევრებად ითვლებიან უძრავ ქონების პატრონნი, სავაჭროთა და სამრეწველოების პატრონნი და დასასრულ ისინი, რომელნიც ფულს იხდიან ქალაქის სასარგებლოდ სავაჭრო-სამრეწველო მოწმობებისას, სანოქროსასა და სამეწვრილმანოსას.

ამ გვარად ქალაქის საზოგადოების წევრად მხოლოდ ის არის მიჩნეული, ვისაც ქონებრივი ცენზი აქვს და ქალაქის სასარგებლოდ იხდის რასმე. თვით-ქალაქის მცხოვრებელი-კი გამოკლებულია ამ თანამდებობას. ასეთს წყობილებას სარჩულად ის უდევს, რომ ქალაქის ხაზინაში ფული მამულის პატრონებს, ვაჭრებსა და მედუქნეებს შემოაქვთ და ქალაქის ავ-კარგიანობის გადაწყვეტაში მონაწილეობაც იმათ უნდა მიიღონო.

ნამდვილად-კი სულ სხვა ამბავი სწარმოებს. უმთავრესად ქალაქს შემოსავალი თავის მამულების იჯარისაგანა აქვს. ამას გარდა ყოველს ქალაქში დიდ-ძალი არა-პირდაპირი გარდასახადია დაწესებული და პირდაპირს გარდასახადსაც ისევ ქალაქის მკვიდრნი იხდიან. ყველა მეჟავახანე და მედუქნე ქალაქის გარდასახადს მუშტარს აწერს, მამულის პატრონი კიდევ—მდგმურს. დასასრულ ზოგიერთს ქალაქში პირდაპირი გარდასახადიც ერთმევა ზოგიერთს, მაგრამ ქალაქის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღების უფლება-კი არა აქვს მინიჭებული.

ასეთმა ვითარებამ საქმისამ ის უსიამოვნო გარემოება დაჰბადა, რომ უმეტესობას მუდმივ მკვიდრისას, რომელიც ნამდვილად ყველას მაგიერ იხდის ფულს, მედუქნეების მაგიერადაცა და მამულის პატრონების მაგიერადაც, არავითარი უფლება არა აქვს საქალაქო საქმეებში გარევისა. უცხო ქვეყნელების ინტერესის დასაცველად საელჩოებია დამართული, მკვიდრს მცხოვრებელს ქალაქებისას-კი ათას გვარს ხარჯს ართმევენ და ნებას არ აძლევენ იკითხოს, რა უყავით ჩემი ფული, როგორ და რას მოახმარეთო.

ეს უსამართლობა მით უფრო სამწუხაროა, რომ დაჩაგრული ისევ საზოგადოების უგანათლებულესი ნაწილია. კანონი განგებ განზედ აყენებს, ლობეს გარედ ანარჩუნებს ამ მკვიდრთ, ქალაქის პატრონობა და მზრუნველობა-კი დარჩენიათ ისეთ არა მკვიდრთ, რომელთაც არც ხალისი აქვთ ამ საქმის მოვლისა და არც შეძლება. მაგალითებრ, უკვე გამოძიებულია, რომ ეხლანდელს ამომრჩეველთა 70—80% არჩევანებში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიან.

ეჭვი არ არისო, ამბობს გაზეთი, რომ

ქალაქის საქმეები იქ უფრო უკეთესად სწარმოებს და საზოგადოებრივი ინტერესი უფრო ხელ-შეუხებლად დაცულია, სადაც ქალაქის საზოგადოებას გამოკლებული არ არის პატიოსანი, განათლებული, დამოუკიდებელი ნაწილი მკვიდრთა. ეს გარემოება აშკარად ამტკიცებს, რომ საქალაქო დებულების განხილვა და ცვლილებათა შემოღება ფრიად და ფრიად საჭიროაო.

დასასრულ გაზეთი დასძენს, რომ განათლებული ნაწილი საზოგადოებისა მთავრობას 1882 წელსავე უნდოდა ქალაქის მართვა გამგეობის საქმეში ჩაება და ამ აზრით ამომრჩევლობის უფლება ქალაქის მცხოვრებელთა შორის ამ გვარად უნდა განაწილებულიყოვო:

ა) უძრავ ქონებათა პატრონებს უნდა მისცემოდა არჩევანში მონაწილეობის მიღების უფლება-

ბ) ზოგიერთ სავაჭრო და სამრეწველო დუქნების პატრონებს;

გ) იმათ, ვისაც სოვდაგრის მოწმობა აქვთ

და დ) იმათ, რომელნიც დაწესებულ ზომის ქირას იხდიან სახლისას.

გაზეთი გვპირდება, რომ ამ აზრის შესახებ შემდეგ მოვილაპარაკებთო.

⁑

ძლივს თ. მეშჩერსკისაც ედირსა

---

ნენ ხოლმე გზას. მეომართ იმისი ზიზილ-პიპილები აკვირვებდა და მხოლოდ იმიტომ აგვიანებდნენ გზაში, რომ კარგად გავესინჯოთო. მაინც-დამაინც გვიან-კი, მაგრამ დანიშნულს ქალაქებს ტიკინი უეჭველად მიატანდა ხოლმე. მგონია ეხლა-კი მიჰხვდეს მკითხველი, თუ რამ ააფორიაქა ქ-ნ ვენსანის მუშტრები. თითქმის მთელი ლონდონის მაღალი საზოგადოების ქალებმა ქ-ნ ვენსანის დუქანში მოიყარეს თავი. ქ-ნ ვენსანი ყველას სათითაოდ უამბობდა, რომ მადელინამ დიდი მოხერხება იხმარა და ხანგრძლივს წვალებას შემდეგ მოაღწევინა აქამდე ტიკინსაო.

— რას მიბრძანებთ, ქალბატონო! მადელინას რომ თითონ არ ჩაეცვა ტიკინის მორთულობა და არ გამოპარულიყო, დღეს ჩვენცა და მთელი ლონდონიც უმოდოდ დარჩებოდა.

უმეორებდა სათითაოდ ვენსანი და ის-კი აღარავის გაუმხილა, რომ მთელი ღამე მადელინას მორთვა-მოკაზმაში გაატარა. მორთულ-მოპრანჭული მადელინა მაღალს სტოლზედ დგას და მეტის-მეტად გამოცდილ და ნიჭიერ მსახიობსავით ასრულებს თავისს მოვალეობას.

შეყრილს ქალებს მადელინა აჩვენებდა, უკანასკნელად როგორი სიარული, მიხვრა მოხვრა და ადგომ-დაჯდომაა მიღებული პარიჟშიო... ქალები გარს ეხვივნენ ამ პატარა ხორცშესხმულს ტიკინს, ეალერსებოდნენ, ჰკოცნიდნენ.

— ჩემთან მოდი ჩემო კარგო! აქეთ წამო! შეჰხედეთ, რა ეშხიანია! რა მშვენიერადა აქვს კაბის კალთები გამოწყობილი! წარმოიდგენთ, ამ უმანკო მშვენიერების მშობლები ხელსარჩობელაზე უნდა დაიხოცნენ. მე მგონია, რომ ზოლიანი ფარჩის კაბა უნდა მომიხდეს! შენ, ჩემო პატარავ, სწორედ მშვენიერს „ზებრსა“ ჰგევხარ! მართლა, რა კარგი აზრი მომივიდა. ახალს ტანსაცმელს „ზებრი“ დავარქვათ. სწორედ მშვენიერებაა. თავი დაიხარე, გავსინჯოთ, თმა როგორა გაქვს დავარცხნილი... მშვენიერებაა... დედამიწის ზურგზე მარტო პარიჟს შეუძლიან ყოველ მშვენიერების მოგონება.

— მართალსა ბრძანებთ, დედამიწის ზურგზე მარტო პარიჟია... ერთბაშად წამოიძახეს ყველა იქ მყოფთა.

მუშტრებში სხვა მკერავი დედაკაცებიც შემოერივნენ. უყურებდნენ პატარა ტიკინსა და გულ-დათუთქული მიდიოდნენ სახლში... აგერ დღე მიიწურა და ქ-ნ ვენსანის დუქანიც დაცალიერდა.

— ჩემო ანგელოზო! არ ვიცი როგორ შეგაქო, ისე მშვენიერად გვეჭირა თავი და ისე სავსებითა და უნაკლულოდ შეასრულე შენი მოვალეობა.. ხალხსა რომ არ შემრცხვენოდა, სწორედ უნდა გადამეკოცნე.

— მართლა! წამოიძახა გახარებულმა მადელინამ და კოხტად ჩამოხტა სტოლიდგან.

საღამოთი ქ-ნ ვენსანის მდგმურები რომ დაბრუნდნენ, მადელინამ იმათთანაც გაიმეორა ყველაფერი, რაც-კი დილას მუშტრებთან სთქვა. . ვალერმა ხელი მისცა მადელინასა და სასადილო ოთახში გაიყვანა ..

— ბ-ნო ვალერ, მეტად ანებივრებ ბავშვს! შენიშნა მღვდელმა.

— ვანებივრებ! თქვენ რა გაგეგებათ!

დედაკაცების აღზრდა-წრთვნა ტკბილი და სასიამოვნო სიტყვა-ლაპარაკია... დედაკაცს უთხარით, რომ შენ მშვენიერი ტანი გაქვს-თქო, და ისიც იმ წამსვე გამოიჭიმება; უთხარით, რომ ჭკვიანი ხარ-თქო, და ისიც გატაცებით დაეწაფება წიგნებს, რომ ლაპარაკში არ იბორძიკოს და ნაკითხობა შეემჩნეს; უთხარით, რომ ძლიერის სულის პატრონი ხარ და მოყვარული გული გაქვს-თქო, და ისიც ყოველს ღონეს იხმარს დაგიმტკიცოთ, რომ ერთგული მეგობარია თქვენი! ერთის სიტყვით, ქალი უნდა აქო, რაც შეიძლება ბევრი აქო და დამერწმუნე რომ ამ ქებით-დიდებით უფრო მოიგებ იმის გულს.

სადილმა მეტად მხიარულად ჩაიარა. დილით მღვდელს თავის დისაგან რამდენიმე ბოთლი ღვინო მოუვიდა... სადღეგრძელოებიც გაჩაღდა, რასაკვირველია... დალიეს რესპუბლიკის დაცემისა და კვლავ მეფობის აღდგენის სადღეგრძელო! და ამას მეფე ლიუდოვიკ მე-XVII-ს სადღეგრძელოც მოაყოლეს.

ვახშამს შემდეგ მადელინა გამოეთხოვა ყველასა და დომინიკასთან ერთად წავიდა თავისს ოთახში, მადელი-

და იცნოს თავი თვისი. ეს მწერალთა შორის ერთის მხრით უტოლო და უსწორო კაცი თავისს „Гражданинъ"-ში ვიღაც უცნობს აუწყებს თავის ვინაობასა და სწერს, რომ

მე არაფრად ვეჭაშნიკები მკითხველთა უმეტესობას...

ამიტომ იმას ვერ ვიტყვით, რომ „Гражданинъ"-ი საზოგადოებას სათავეში უდგეს და გონებრივად წინამძღოლელობდესო. მე არაფერს არა ვთხოვ ხალხს (იმის მეტს, რომ გაიწერონ მისი აბდა-უბდა გაზეთიო! დასძენს „Новости") და არც იმისი სურვილი და მოთხოვნილება მაქვს საჩემი...

სიმართლე თხოულობს, რომ ამ ხალხს არ ვუყვარდე და ჩემი თავის გამოდება, ვითომ-და გავლენა მაქვს საზოგადოებაშიო, ყველას სასაცილოდ მიაჩნდეს. ჩემსა და საზოგადოებას შორის მთელი უფსკრულია, ხიდია ჩატეხილიო.

მეშჩერსკი სწორედ გოგოლის იმ უნტერ-აფიცრის ცოლს მოგვაგონებს, რომელმაც თავისი თავი თითონვე გაიწკეპლა... სასაცილო და ახირებული კიცია, უკაცრავად, თავადია ბ-ნი მეშჩერსკი...

## ისტორიული მასალა მეფე ირაკლის ცხოვრებისა.

(შემდეგი*)

**№ 13. 1788 წ. მარტის 1.**

ქ. ჩვენ მაგიერად ჩვენსა დიდათ იმედათ მისაჩენელს და არაოდეს დასაივწყარს ქეშიკჩიბაშს აბაშიძეს იოანეს მოკითხვა მოეხსენოს. მერე დღეს რომ ოთხშაბათი იყო, სალამოზე შენი მოწერილი წიგნები მოგვივიდა, რაც მოგეწერა ფანბავის ამბავი, ყველა შევიტყევით. ჩვენ ასე გვემჯობინება მაგ თათრებს მძევლების თხოვას დაეხსნათ. მაგათვისაც ხათრიჯამობის წიგნი მოგვიწერია თავისავე ალაგას იდგნენ და ხათრიჯამნი იყვნენ, რომ ჩვენ მაგათ მანდედამ არ ავყრით, არც მძევალს გამოვართმევთ; და ამ ცოტა ხანში ღვთით ეს ხმა გარდაივლის და მაგ სომხებსაც თავის ალაგსვე გავგზავნით. ჩვენ ასე გვემჯობინება, როგორც მოგვიწერია, და თუ ჩვენის შვილის გიორგისგან სხვა რიგად გაქვს დაბარებული, იმისი შენ იცი, როგორც დაებარებინოს, ისე აღასრულე. აღიწერა მარტას ა. გასულს ქ-ს უოვ. ჩვენ კიდევ ასე გვემჯობინება, როგორც მოგვიწერია. ახლა ჩვენ ცხენიანი კაცი ასე მზათ სად გვყავს, რომ საჩქაროდ გამოგიგზავნოთ. ახლა ჯარებისთვის ქართლშიაცა და კახეთშიაც ჩვენი შვილები და შვილიშვილი გავგზავნეთ და ჯარები ყველგნიდამ დავიბარეთ. ახლა ამის მოწერის გონება არა გვქონდა, ამასთანა განსაცდელი მოხდა—მათი უწმინდესობა ჩვენი ძმა კათალიკოზი გუშინ სალამოზე ამიერ სოფლად გარდაიცვალა და ამაზე დიდად შეწუხებულნი ვიყავით, მაგრამ მაინც ეს წიგნი მოგწერეთ. [ბეჭდ.]"

1787 და 1788 წწ. იბრეიმ ხანს იდუმალი ლაპარაკი აქვს ლეკებთან და სულეიმან ფაშასთან, მაგრამ ირაკლის მორიდება აქვს დაჲერა ბედავს ცხადად განდგომას დრომდე. 1787 წ. საქართველოს მოხარკე თათრის ელნი*) ყაზახ-შამშადილისა (ბორჩალო) ბინადარნი გაიქცნენ და განჯა-ყარაბაღს შეეფარნენ (რასაკვირველია იბრეიმ ხანის ვაიძვერობას უნდა მივაწეროთ ეს საქმე). ყარაბაღის მდიდარი სომხებიც თავის მხრივ აიყარნენ და მეფე ირაკლისთან მოვიდნენ, გვიშველე რამე, ჩვენი ყმები აგვიყარე და შენ სამფლობელოში გვაცხოვრეო" (მელიქების აყრა მირზა გურგენ ენიკოლოფაშვილის საქმეა). ამ დროს გიორგი ბატონიშვილი და იულონი ჯარით იმყოფებიან ყარაბაღში ასაყრელად მელიქების ყმებისა. იხ: ქართ.—ცხ. 499 გვ. აი სწორედ ამ დროს შეეხება წერილი (№ 13). ირაკლი ხედავს, რომ გარემო მტერნი სულ განაბულნი ეძიებენ შემთხვევას საქართველოს სამეფოს განადგურებისათვის; კარგად იცის, რომ ყარაბაღის ხანი იბრეიმი გაორგულებულია ომარ ხანისაგან და განჯის ხანობას ელამუნება. ირაკლი სამზადისშია, იბარებს ჯარებს თავის სამეფოდამ ასალაგმავად თათრების თავ-გასულობისა ყარაბაღში, სადაც ბუდობდა და იზრდებოდა ყოველთვის დაუძინებელი მტრობა საქართველოს სამეფოსი. და ვიდრე შეემზადება, ირაკლი მეფე თავზედ ხელს უსვამს თათრებს და ეფერება, გარემოებათა ძალით; უბრძანებს იოანე აბაშიძესაც—„თათრების აყრასა და მძევლების გამორთმევას თავი დაანებეო; ღვთით ეს ხმა (თათრების აყრისა) გარდაივლის და მაგ სომხებსაც (მელიქებს, რომელნიც ბორჩალოში უგანან დროებით) თავის ალაგსვე გავგზავნითო ყარაბაღში.". ირაკლი ბატონიშვილებს ჰგზავნის ქართლ-კახეთში ჯარების გამოსაყვანად **) და ამ ჯარების შეგროვებას ელის. როგორც ამ წერილიდამა სჩანს, ანტონ კათალიკოზი † 28 თებერვალს სალამოზედ, სამშაბათს დღეს 1788 წ.

მღვდ. კარბელაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია" №№ 240 და 241.

*) ელი ეწოდება დღესაც თათრ-ს მოსახლეობას რამდენისამე კომლისას, რომელიც ზაფხულში მთაში ადიან იალაღებზე და ზამთრობით ბარად სახლობენ.

**) ერთი ამ დროის ბრძანება ირაკლი მეფისა ხელთა გვაქვს. აჰა მისი შინაარსი: „ქ. მელიქო ავეტიქ! თოფჩიბაში (არტილერიის უფროსი პაატა ანდრონიკაშვილი) ოცს თოფს მოგცემს სალდათისათვის, შენ უნდა გააწყობინო ჩახმახითა და შტიკებით; რაც დაიხარჯოს, თოფჩიბაშს ყაბზი მააწერინე. აპრილის. კთ ქორონიკონს უოვ—(1788 წ. 29 აპრილს) [ერეკლე]" აი მეორე ბრძანებაც, დაწერილი სამის წლის წინად, ე. ი. 1784 წ. დეკემბრის 18: „ქ. ეშიკაღაბაშო თამაზ! დემურჩისალოს წრევანდელის მასტიდამ თოფხანისათვის განწესებული ოც-და-ათი თუმანი წამლის მნაყავს ქიტესას მიეც თოფჩიბაშის მარიფათით, იქნება ამისი ნახევარი ეე რომ მისცე, ყაბზი მააწერინე. დეკემბერს, იჱ, ქორონიკონს უობ: [ერეკლე]."

## რუსეთი

არა მარტო ევროპა, არამედ მთელი ქვეყანა აალაპარაკა პროფესორ კოხის მიერ ახლად მოგონილმა წამლობის წესმა ჰლექიან ავადმყოფთათვის და რუსეთმაც ხმა მისცა ამ საზოგადო ღაღადისს. ძლიერის სისწრაფით მოედო რუსეთის სოფლებსაც-კი ის ამბავი, რომ ბერლინში პროფესორმა კოხმა უებარი წამალი მოიგონა ჰლექისაო. თითქმის ყოველმა სახელმწიფომ თავისის ხარჯით გაგზავნა მკურნალები ბერლინში ამ ახალის წესის ადგილობრივ შესასწავლადა და არც რუსეთმა მოინდომა უკან ჩამორჩომა. მისმა უმაღლესობამ ოლდენბურგის პრინცმა ალექსანდრე პეტრეს ძემ თავისის ხარჯით დააარსა პეტერბურგში მთელი ინსტიტუტი მკურნალებისა და ამ ინსტიტუტის ერთი წევრი პროფესორი ანრეპი 2 ნოემბერს გაგზავნა ბერლინში კოხის მიერ მოგონილის ჰლექის წამლობის შესასწავლად. 11 ნოემბერს პროფესორი ანრეპი უკვე დაბრუნდა პეტერბურგში და იმ სალამოსვე წაიკითხა თავისი მოხსენება მკურნალთა ინსტიტუტის კრებაზე, რომელზედაც მისი უმაღლესობა ოლდენბურგის პრინციც დაესწროს! ანრეპმა ყველაფერი დაწვრილებით ახსნა და განმარტა კოხის წესისა და წამლობის შესახებ და იქვე უწამლა კიდეც სამს ჰლექით ავადმყოფს. ღ მხწრე საზოგადოება ამ ამბავმა ისეთს აღტაცებაში მოიყვანა, რომ მაშინვე დეპეშა გაუგზავნეს ბერლინში პროფესორს კოხსა და მადლობა გარდაუხადეს. რომ პროფესორი კოხიო, სთქვა ანრეპმა: ჯერ არავის ატყობინებს, როგორ მზადდება და ზავდება მის მიერ მოგონილი წამალი, ამას თვით საქმის გარემოება ითხოვსო.—ეხლა ყოველ-დღე რამდენსამე ჰლექით ავადმყოფს სწამლობენ კოხის წამლით და რწმუნდებიან, რომ კოხის მოგონილი წამალი მართლა ღირსშესანიშნავი მოგონებაა. მარტო ანრეპის გაგზავნას არ დასჯერდა პეტერბურგი. ნიკოლოოზის საყმაწვილო სამკურნალომაც მკურნალს შომაკერს დაავალა, ბერლინში წადი და შეისწავლე კოხის მიერ მოგონილი ჰლექის წამლობაო. შომაკერის გაგზავნა ბერლინში მით უმეტეს საჭიროდ სცნა ნიკოლოოზის სამკურნალომ, რომ ამ უკანასკნელს დროს შესამჩნევად იმატა ჰლექით ავადმყოფ ყმაწვილების რიცხვმა. წარსულს ზაფხულსაც იყო შომაკერი ბერლინში მკურნალთა კრებაზე, კარგა ხანს იმუშავა იქაურს კლინიკებში ბავშვების ავადმყოფობათა შესასწავლად და იმ დროსვე გაიცნო პროფესორი კოხიც. შომაკერთან ერთად ბერლინში წასვლას იმავე სამკურნალოს მეორე მკურნალიც აპირობს, სახელდობრ ფელდი.

## უცხოეთი

**ბოლგარია.** ბოლგარიის სამინისტროს ორი მინისტრი აკლდა დღემდე და დღეს ეს ორნიც დაუნიშნავს მთავრობას. ერთი ამათგანი არის გრეკოვი და მეორე ბელჩევი. გრეკოვი უფრო კონსერვატორია, მაგრამ ლიბერალებთანაც, რომელნიც უფრო მომეტებულნი არიან, კარგი ურთი-ერთობა აქვს. გრეკოვი საზოგადოდ მეტად მშვიდობიანის ხასიათისაა; სწავლა მიიღო საფრანგეთში და ფრანგულად მშვენიერად თურმე ლაპარაკობს. წინად, ალექსანდრე ბატენბერგის დროს, იუსტიციის მინისტრად იყო. ერია იმ დეპუტაციაშიაც, რომელმაც სთხოვა ეხლანდელს ბოლგარიის მთავარს, ფერდინანდ კობურგელს, იტვირთეთ მთავრად ყოფნა ბოლგარიაშიო. 1882 წლიდამ თავი დაანება მინისტრობას, მაგრამ მთავრობა მაინც ხშირად მიჰმართავდა ხოლმე გრეკოვს, როცა რამე გაჭირვებული საქმე ჰქონდა გასაკეთებელი. გრეკოვს დიდი სადიპლომატო ნიჭი აქვს და ადვილად ახერხებს მეგობრობას დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელებთან. მეორე მინისტრი ბელჩევი, მართალია, პოლიტიკაში ისეთი შესანიშნავი არ არის, მაგრამ თავისი საკუთარი საქმე, სახელდობრ, საქმე ფინანსებისა ზედ-მიწევნით იცის. გრეკოვი დანიშნულ იქმნა გარეშე საქმეთა მინისტრად, დ—რ სტანსკის მაგიერ, ხოლო ბელჩევი—ფინანსთა მინისტრად.

**საფრანგეთი.** დეპუტატთა პალატის ერთ-ერთს კრებაზე, ამას წინად მეტად გაჰჭირვა საქმე ერთმა ბულანჟელმა დეპუტატმა, სახელდობრ ლორმა. ბულანჟეობა თუმცა სრულიად დათრგუნა საფრანგეთის მთავრობამ, მაგრამ მაინც ჯერ ისევ მიმკვდარუნებულია და სრული სიკვდილი არ ეტყობა. კრებაზე ლაპარაკი იყო ბიუჯეტის შესახებ. ლორმა მოითხოვა ლაპარაკის ნება,ავიდა კათედრაზე და სთქვა მე მინდა ვკითხო ფინანსთა მინისტრს, რა ღონის-ძიების ხმარებას აპირობს, რომ ხელი შეუშალოს ოქროს გატანას სამზღვარ-გარედ, საცა ზოგგან ასეთი ფულის კოტრობა ჩამოვარდაო. ლორმა კარგად იცოდა, რომ მთავრობამ აესხა იმ ხანად ინგლისის ბანკს 75 მილიონი ფრანკი ოქროთი. ამის წინააღმდეგი თითქმის არც ერთი დასი არა ყოფილა, მაგრამ ლორმა მაინც ასეთის სიტყვებით მიჰმართა მინისტრუვიეს. ლორს უთხრეს, რომ ეგ საგანი გადაიდოს, ჯერ ბიუჯეტი გვაქვს განსახილველიო. გუშინ მინისტრი დამპირდა პასუხს ამ საგნის შესახებაო, განაგრძო ლორმა, და დღეს-კი უნდა გადასდოსო. ქვეყანა ღელავს ამის გამოო. ლორს რამდენჯერმე გააწყვეტინეს სიტყვა, მაგრამ იმან მაინც თავისი განაგრძო. ყველგან: რომსა, ლონდონსა და ნიუ-იორკში უფულობას ვამჩნევთო... აქაც სიტყვა გააწყვეტინეს და დეპუტატმა ცეპრემ ჩაურთო: უფულობას უჩივიან ჯერსეიშიცაო, ვითომ იქ, საცა ბულანჟე არ იმყოფება ამ ჟამადაო. ატყდა სიცილი და ხარხარი. ლორს უნდოდა კვლავ განეგრძო ლაპარაკი. დეპუტატთა პალატის პრეზიდენტი ფლო-

---

ნამ შეატყო, რომ დომინიკა როგორღაც დაღონებული და გაჯავრებული იყო. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. დღეს პირველი დღეა, რომ მადელინამ და დომინიკამ ერთად არ გაატარეს დრო. დომინიკამ ოთახამდე მიაცილა მადელინა და დააპირა თავისს საწოლისკენ წასვლა. მადელინამ წაავლო ხელი და გულ-უბრყვილო, ბავშურის ალერსით უთხრა:

— შემოდი ჩემთან! მთელი დღეა, ერთმანეთი არ გვინახავს.

დომინიკა ოთახში მადელინამ თითქმის ძალათი შეიყვანა.

ოთახი მეტად სუფთად და კოხტად იყო მორთულ-მოკაზმული. იმისი მოწყობილობა და სისუფთავე ნათლად ამტკიცებდა, რომ ოთახის პატრონი მეტი ფაქიზია და კარგის ხასიათისაო.

ფანჯარასთან ისეთი მოზრდილი სავარძელი იდგა, რომ დობილი და ძმობილი ორივენი ერთად დაეტივნენ. მადელინამ თავი ძმობილს მხარზე დაანდო, თავის პაწია ხელი კისერზედ გადახვია და ასე გადახვეულები კარგა ხანს გადიყურებოდნენ ფანჯრიდგან. მეზობლებიდგან სიცილისა და სიმღერის ხმა გამოისმოდა. კარგა ხანს ასე ჩუმად იყვნენ. მადელინას როგორღაც ძილი მოერია, გაუშვა ხელი და უთხრა.

— ეხლა დავიძინებ! მაკოცე და შენც დასაძინებლად წადი. დომინიკამ აკოცა და, ცოტა არ იყოს, ნასიამოვნები გაემგზავრა თავისს საჩეხის ოთახში:

სადარბაზო ოთახში დიდი ამბავი ჰქონდათ ქ-ნ ვენსანსა და იმისს მდგმურებს. პეგმა აალაგა სუფრა და ქაღალდის სათამაშო სტოლი მოამზადა. ვალერი მხიარულს გუნებაზე იყო და თავისს წარსულს ცხოვრებას უამბობდა მოსაუბრეებს. ეხლა 60 წლისა ვარ. სამოც წელში ორმოცი წელიწადი ქალების დევნას მოვანდომე. მას შემდეგ, რაც აფიცრობა მივიღე, ჩემი ერთად-ერთი საქმე ქალები-ღა იყო. ეხლაც-კი, თუმცა უძლური ვარ, მაინც მიყვარს ქალებთან ყოფნა-ლაპარაკიო.

გატაცებული ბაასი ვალერს ბოშმა შეაწყვეტინა.

— მეტად ნიჭიერი და მახვილი ლაპარაკი იცით! სწორედ სამწუხაროა, რომ არაფერსა სწერთ.

— ჩემო მეგობარო, განა არ იცით, რომ ჩემგვარი ხალხი არაფერსა სწერს. პარიჟში ორი ათასამდე კაცი ვიყავით, რომელნიც მხოლოდ ვბაასობდით ხოლმე იმის შესახებ, რაც-კი ითქმოდა და ან დაიწერებოდა. ყველა იმის ცდაში იყო, რომ ჩვენთვის მოეწოდებინა თავისი ნამოქმედარი. მთელი ევროპა ჩვენს ბაასსა და მიჯელობას ადევნებდა თვალ-ყურს. ხშირად წარმოდგენებსაც ვმართავდით ხოლმე... განა ასე დროს ტარება უფრო სასიამოვნო არ არის, ვიდრე ოფლის ღვრით სხვის გასართობად წერა? ვალერი ლაპარაკობდა და ბოში-კი ერთგულად ურევდა ქაღალდს და თან ქ ნ ვ ვენსანს უსწორებდა ფეხის ბალიშს...

— იცით, ბოშ, თქვენ სწორედ რომ საუცხოვო ქმარი უნდა იყოთ! მიკვირს, აქამდის ქ-ნმა ვენსანმა როგორ ვერ შეგნიშნათ ეს თვისება...

— იმას ეგონა!..

— რა! მიამბე ერთი-და. .

— ეს ამბავი ამ შვიდი-რვა წლის წინად მოხდა. საქორწილოდ ყველაფერი მომზადებული გვქონდა. ეკკლესიაში რომ მივდიოდით, გზაზე შევდექი.

— ქ ნო ვენსან!

— რაო, ბ-ნო ბოშ?

— ჩვენ სისულელის ჩადენას ვაპირებთ.

— თქვენ აგრე გგონიათ?

— მგონია-კი არა, დარწმუნებულიცა ვარ. უამისოდაც ტკბილადა ვცხოვრობთ! დამიჯერეთ, დავბრუნდეთ სახლში.

— ამ გვარად დავბრუნდით ისევ ჯვარ-დაუწერლები სახლშიო, დაასრულა ლაპარაკი ბოშმა.

— მას შემდეგ ჯვარ-დაუწერელნი ბედნიერად სცხოვრობთ? შენიშნა ვალერინმა...

— რასა ბრძანებთ... წყენით უპასუხა ვენსანმა.

— განა საწყენი რა ვთქვი?

შუაღამემ მოატანა და მოსაუბრენი დაიშალნენ. რამდენსამე წამს შემდეგ ყველანი ღრმა ძილში იყვნენ. მხოლოდ მღ. მარსელია-კი მიუჯდა თავის უშველებელ თხზულების „კაბადოკის ისტორიის" წერას.

(შემდეგი იქნება)

კე იძულებული იყო ჩამოერთმია სიტყვა ლორისათვის, რომელიც კათედრას თავს აღარ ანებებდა. ფლოკემ ჰკითხა პალატას, აძლევთ თუ არა ლორს ლაპარაკის ნებასაო და პალატამ გარდასწყვიტა, ჩამოერთვასო და შეუდგა ბიუჯეტის განხილვას.

---

# დეპეშა

20 ნოემბერი

**პეტერბურგი.** განზრახვა აქვთ სერბიას საელჩო კონვენციით შეეკრან. ჯერ რამდენიმე რუსეთის საელჩო უნდა დაარსდეს სერბიაში და მერე სერბიის საელჩონი ჩვენს შავის ზღვის ნავთ-სადგურებში.

გუშინ საერო ჯან-მრთელობისათვის მზრუნველს საზოგადოებაში ექიმმა უსპენსკიმ მოხსენება წაიკითხა იმის შესახებ, თუ როგორ ვცადე ხიპლექის მორჩენა ბროუნ-სეკარისეულის საშუალებითაო. ამ წამლის რამდენჯერმე შეშხაპუნების შემდეგ ავადმყოფებს წონა მოემატათ, სიცხე გამოჰნელდათ, ოფლი აღარ მოსდიოდათ და საზოგადოდ საკეთილოდ გამობრუნება ეტყობოდათ.

„С.-Петерб. Вѣд.“-ის გაუგონია, რომ ახალს წესებს ღვინისა და სპირტის ნარდად გაყიდვის შესახებ 1891 წლიდგან შემოიღებენო. ახალის საწყოწების გამართვა ქალაქებისა, ან ბრყის მხდელ ქარხნებიდგამ 30 ვერსის მანძილის სიახლოვეზედ აღკრძალულია.

1891 წლის დამდეგიდგან ვორონეჟში არსდება სამეურნეო ბანკი, რომელსაც $1\frac{1}{2}$ მან. თანხა აქვს.

**ქაირო.** მემკვიდრე ცესარევიჩი და მისნი უავგუსტოესნი თანამხლებელნი დღეს ედფუში ბრძანდებოდენ, ეკლესიები დაათვალიერეს და აქედგან პირდაპირ ასსაუნში წავიდნენ.

**პეტერბურგის ბირჟა, 16 ნოემბერი.**

| | მყიდველ-ნი. | | გამყიდვე-ლისა. | | გაყიდუ-ლისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 6 | 85 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | $137\frac{1}{2}$ | |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — | „ | — | „ | 1 | 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | $234\frac{1}{2}$ | | — | „ | — | |
| —მეორისა . . . . | 213 | | — | „ | — | „ |
| —მესამისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | $210\frac{1}{2}$ | |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — | „ | — | „ | — | |

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე**

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჯადაზე გემები.

---

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში.

## საგულისხმიერო აზრები

ვეფხვის ტყაოსნიდამ

შედგენილი და გამოცემული ნიკო ველის-ციხელის მიერ.

ფასი ოცი შაური

---

**„წერა-კითხვის საზოგადოების“**

**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სამი ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ . . . | 1 | „ |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა . . . . . | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათიაშვილისა . . . . . . | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩიტაძის—დიმელისა . . | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |
| ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა . . . . . | „ | 40 |
| იავნანამ რაჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . . | „ | 80 |
| გრამატიკა ჟორდანიასი . | „ | 55 |

---

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

## პატარა კახი

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვეით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია აღარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცი თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

---

**Просимъ распространить среди Вашихъ знакомыхъ.**

Просимъ распространить среди Вашихъ знакомыхъ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1891 ГОДЪ

СЪ РАЗРѢШЕНІЯ ГОСПОДИНА МИНИСТРА ВНУТРЕННИХЪ ДѢЛЪ

Будетъ издаваться съ 1-го Января 1891 года, въ С.-Петербургѣ,

**большая политическая, экономическая, научная и литературная газета**

# „ПРАВДА.“

Подписчики „правды“ за 6 руб. получатъ въ течении года:

**52** **номера газеты**, еженедѣльно каждый № въ 2—3 печатныхъ листа самаго большото формата съ разнообразными тщательно разработанными статьями: серьезными—научными и легкими—беллетристичесскими, именно со статьями—политическими. экономическими, изъ общественной жизни, научными по всѣмъ областямъ знанія, искусства и литературы, съ фельетонами, разсказами и проч., и проч. и

**24** **БЕЗПЛАТНАЯ ПРИЛОЖЕНІЯ—КНИГИ**, изъ коихъ въ каждой будетъ помѣщенъ законченный новый выдающійся романъ извѣстнѣйшаго писателя. Каждое приложеніе будетъ выходить въ двухнедѣльный срокъ, такъ что въ годъ выйдетъ двадцать четыре тома отдѣльныхъ избранныхъ романовъ, стоящихъ въ продажѣ не менѣе 24 рублей.

**Съ первымъ же номеромъ газеты выйдетъ и первое приложеніе—книга.**

**ПРАВДА** съ переходомъ къ новому издателю-редактору совершенно преобразована, увеличена до самаго большаго формата и по разнообразному содержанію и дорогимъ приложеніямъ—книгамъ—незаменима.

**ПРАВДА** по своему характеру и направленію будетъ истино русскимъ органомъ. Ея цѣль и задача—неуклонно служить національнымъ интересамъ всего государства.

**ПРАВДА** въ области политической—будетъ преслѣдовать осуществленіе исконныхъ національныхъ задачъ Россіи и Славянъ; въ области экономической—будетъ служить полному подъему и развитію производительныхъ силъ русскаго народа, упроченію всѣхъ коренныхъ отраслей производства и разумному огражденію ихъ отъ пагубной иностранной конкуреціи съ недопущеніемъ однако никакихъ монополій, безусловно вредныхъ интересамъ всего народа-потребителя; въ области общественной жизни—будетъ способствовать общему культурному и разумно прогрессивному движенію.

**ПРАВДА** во всѣхъ случаяхъ и при всѣхъ обстоятельствахъ останется вѣрной своему названію и всегда будетъ служить отголоскомъ лишь искреннихъ убѣжденій и нелицемѣрныхъ желаній.

**ПРАВДА** будетъ давать читателямъ возможность своевременно и подробно слѣдить за всѣмъ совершающимся на земномъ шарѣ, замѣнитъ дорогія газеты и журналы и будетъ газетою для всѣхъ и обо всемъ.

**ПРАВДА** по обилію тщательно разработаннаго и разнообразнаго матеріала для чтенія и по своимъ дорогимъ безплатнымъ приложеніямъ представляетъ изданіе самое солидное, интересное, полезное и необходимое, какъ вполнѣ развитому и серьезному, такъ и любознательному читателю и особенно семьѣ, а по своей дешевой цѣнѣ вполнѣ и всѣмъ доступное.

**ПРАВДА** будетъ издаватъся по самой широкой, разнообразной программѣ и заключать: 1. Высочайшіе Манифесты, указы и другіе акты. Правительственныя распоряженія и узаконенія. II. Статьи по вопросамъ внѣшней политики. III. Статьи по текущимъ вопросамъ русской политики. IV. Систематическія обозрѣнія событій въ Россіи и заграницею, въ особенности въ славянскихъ земляхъ. V. Статьи по вопросамъ экономическимъ и финансовымъ. VI. Статьи по всѣмъ областямъ знанія и филсософско-богословскія. VII. Изящная словеность—повѣсти, романы, стихотворенія, мемуары и проч VIII. Критика и библіографія русскихъ и иностранныхъ произведеній. IX. Статьи о текущей русской и иностранной журналистикѣ. X. Корреспонденціи изъ провинціи и заграницы. XI. Судебная лѣтопись. XII. Фельетоны изъ русской и иностранной жизни. XIII. Разные факты, сообщенія, проишествія, слухи и проч., преимущественно свидѣтельствующіе о ростѣ и и развитіи государственныхъ, земскихъ и общественыхъ силъ Россіи и Славянъ. XIV. Статьи по искуству—театру, живописи, скульпурѣ и проч. XV. Спортъ. XVI. Объявленія и рекламы.

**ВЪ ПРАВДѢ** примутъ участіе многіе извѣстные писатели, ученые и общественные дѣятели русскіе и иностранные, въ особенности славянскіе.

**Подписная цѣна на газету „ПРАВДА“ съ двадцатью безплатными приложеніямы—книгами:**

| | Въ Россіи. Въ С.-Петербургѣ и во всѣ мѣста Имперіи. | За границу. Въ Славянскія земли. | Во всѣ другія мѣста. |
|---|---|---|---|
| На годъ съ доставкой и пересылкой — | 6 руб. | 6 руб. | 10 руб. |
| „ полгода съ доставкой и пересылкой — | 4 руб. | 4 руб. | 6 руб. |
| „ одинъ мѣсяцъ съ доставк. и пересылк. | 1 руб. | 1 руб. | 1 руб. |

NB. Допускается разсрочка: при подпискѣ 3 руб. и въ Мартѣ остальные 3 руб. Выписывающіе 10 экземпляровъ получаютъ одинъ экземпляръ газеты съ приложеніями—книгами—безплатно.

Подписка принимается исключительно **въ Главной Конторѣ газеты „ПРАВДА“. С.-Петербургъ Невскій проспектъ, домъ № 98.**

*Издатель-редакторъ „ПРАВДЫ“ П. Н. Подлигайловъ.*

## Отъ Главной Конторы газеты «ПРАВДА».

**ГЛАВНАЯ КОНТОРА** принимаетъ также отъ петербургскихъ и иногородныхъ жителей объявленія для помѣщенія во всѣ русскія и иностранныя газеты и журналы по цѣнамъ редакцій, безъ всякаго возвышенія платы, а равно принимаетъ подписки на эти изданія также по цѣнамъ редакцій.

Кромѣ того **ГЛАВНАЯ КОНТОРА** исполняетъ всякаго рода порученія по выпискѣ всевозможныхъ книгъ и учебниковъ, какъ изъ своего книжнаго склада, такъ равно и изъ всѣхъ другихъ книжныхъ магазиновъ, взимая 5% за комиссію.

Для годовыхъ-же подписчикоъ „ПРАВДЫ“ всѣ эти порученія исполняются безплатно.

Всѣ порученія исполняются немедленно и аккуратно.

На отвѣты объязательно прилагаются почтовыя марки.

(3—1)

Просимъ распространить среди Вашихъ знакомыхъ.

Просимъ распространить среди Вашихъ знакомыхъ.

---

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

Доз. цен. Тифлисъ, 20-го Ноября 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე